ცეესკო-ს თავჯდომარემ ხანდაზმულებს ამომრჩევლის ბარათები გადასცა

ცენტრალური საარჩევნო კომისიის თავჯდომარემ თამარ ჟვანიამ დღეს გარდაბნის სოფელ ნაზარლოში მცხოვრებ 123 წლის საიალ სადიხოვას ამომრჩევლის ბარათი გადასცა.

ჟვანიას განცხადებით, მისთვის განსაკუთრებით სასიხარულო და გასაოცარია, რომ ნაზარლოში მცხოვრებმა უხუცესმა ქალბატონმა საარჩევნო უბანზე მისვლა თავად გადაწყვიტა და გადასატანი ყუთის სახლში მიტანა არ მოისურვა.

დღესვე ცესკო-ს წარმომადგენლები ამომრჩევლის ბარათს საჩხერეში, სოფელ ცხამში მცხოვრებ 119 წლის მარგარიტა შუბითიძესაც გადასცემენ.

შეგახსენებთ, რომ საქართველოში 100 წელს გადაცილებული სულ 468 ადამიანი ცხოვრობს.